



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

19 მაისი 2021 წელი

№ 31/36

ეგზ. №1

თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	მიმოწოდებლებთან საავანსო ანგარიშსწორება	4
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	7
დანართები	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	10
	დანართები	19
	საკონტაქტო ინფორმაცია	20

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდი – განვითარების ფონდი.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა

თბილისის განვითარების ფონდის მიერ 2018-2019 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდებოდა ექსპერტიზის აქტების საფუძველზე, თუმცა ექსპერტიზის მიერ სათანადოდ არ იყო შესწავლილი შემსრულებლების ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მიმწოდებლებთან საავანსო ანგარიშსწორება

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება იმისა, რამდენად სარგებლობს თბილისის განვითარების ფონდი არსებული საუკეთესო პრაქტიკით მიმწოდებლებზე საავანსო თანხების გაცემის დროს.

საქონლის გამარტივებული შესყიდვა

ფონდმა ურნების და ვიდეოსამეთვალყურეო ქსელის მონტაჟის სამუშაოების შემენა განახორციელა გამარტივებული შესყიდვის გზით, როდესაც შესაძლებელი იყო საქონლის ტენდერის საშუალებით შესყიდვა. ამასთანავე, ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, ფონდს არ განუხორციელებია ბაზრის კვლევა.

ქონების მართვა

თბილისის განვითარების ფონდმა შეისწავლა მისი ქონების ნაწილის ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ არ გამოიყენა კვლევის შედეგები შემდგომ საქმიანობაში. შესაბამისად, კვლევებში გადახდილი თანხები არაეფექტიანი ხარჯია.

რეკომენდაციები

თბილისის განვითარების ფონდმა:

- სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვის პროცესში ზუსტად განსაზღვროს ის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით უნდა დადგინდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, რაც არსებითად შეამცირებს ბიუჯეტიდან თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკებს. შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეისწავლონ საექსპერტო კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი და მათ მიმართ გაატარონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- არსებული საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიმუშაოს წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელების წესი. მიმწოდებლებისთვის თანხების ავანსად გაცემა უნდა განხორციელდეს რეალური საჭიროებებიდან და ფონდის ინტერესების მაქსიმალურად დაცვის გათვალისწინებით. აღნიშნული გააუმჯობესებს ორგანიზაციის ფინანსური რესურსების მართვას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის (შემდგომში – განვითარების ფონდი) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. განვითარების ფონდის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

განვითარების ფონდის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა, განვითარების ფონდის მიერ 2018-2019 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, განვითარების ფონდის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ა(ა)იპ-ის 2018-2019 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 134,898.5 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №251 ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – თბილისის განვითარების ფონდის წესდება;
- სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- მონაცემთა ანალიზი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თბილისის განვითარების ფონდი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2010 წელს. დებულების თანახმად, განვითარების ფონდის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია ქალაქ თბილისში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების/აღდგენის და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის გამოუყენებელი შესაძლებლობების გამოვლენა და სწორად პრიორიტეტიზაცია; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების/აღდგენის და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაძლებლობების რეალიზაციის სწორად დაგეგმვა-პროექტირება; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების/აღდგენის და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაძლებლობების რეალიზაციის პროექტების დროულად, ხარისხიანად და გონივრული დანახარჯების პირობებში განხორციელება. განვითარების ფონდის მიზანია – ქალაქ თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნება და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის ხელშეწყობა.

განვითარების ფონდის დაფინანსების ძირითადი წყარო ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები წარმოადგენს, ხოლო ფონდის მიერ კერძო საბანკო დაწესებულებების ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან მიღებული საკუთარი შემოსავლები მთლიან მოცულობასთან მიმართებით უმნიშვნელოა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2019 ბიუჯეტების წლიური ანგარიშების თანახმად, შემოსულობებმა – 134.781.8 ათასი ლარი,¹ ხოლო გადასახდელებმა – 134,898.5 ათასი ლარი შეადგინა.²

¹ მათ შორის, მუნიციპალიტეტიდან მიღებული სუბსიდია – 41,362.7 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი – 92,984.2 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 434.9 ათასი ლარი.

² წინა წელს ორგანიზაციას ნაშთის სახით დარჩა საკუთარი შემოსავლები. აღნიშნულის გამო, გადასახდელების მაჩვენებელი მეტია შემოსულობების მაჩვენებელზე.

**ცხრილი №1. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2018-2019 წწ.
(ათასი ლარი)**

დასახელება	2018 წელი			2019 წელი			საკასო შესრულ ებების ჯამი
	დაზუს ტი გეგმა	საკასო შესრუ ლება	შესრუ ლები ს %	დაზუს ტი გეგმა	საკასო შესრულე ბა	შესრუ ლები %	
შემოსულობები	62,751.0	62,608.9	99.8%	72,374.1	72,172.9	99.7%	134,781.8
შემოსავლები	62,751.0	62,608.9	99.8%	72,374.1	72,172.9	99.7%	134,781.8
არაფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	64,473.4	62,366.5	96.7 %	74,389.9	72,532.0	97.5 %	134,898.5
ხარჯები	35,515.2	33,545.2	94.5%	50,845.6	49,033.7	96.4%	82,578.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	28,958.1	28,821.3	99.5%	23,544.3	23,498.3	99.4%	52,456.6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთის ცვლილება	-1,722.3	242.377		-2,015.7	-359.097		

2018-2019 წლებში ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე:

- აპარატის ხარჯი – 5,595.1 ათასი ლარი;
- მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯი – 4,460.5 ათასი ლარი;³
- სხვადასხვა აქტივების შეძენა – 347.8 ათასი ლარი;⁴
- ქალაქის ეკონომიკური და ტურისტულ-სოციალური შესაძლებლობების დიება – 495.3 ათასი ლარი;⁵
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა 4,705.3 ათასი ლარი;
- მშენებლობის მართვა – 119,294.5 ათასი ლარი.

³ აღნიშნული მოიცავს ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის, ექსპერტიზის ხარჯებს და სხვ.

⁴ აღნიშნული მოიცავს საოფისე ტექნიკის, კამერების შეძენასა და სხვა ხარჯებს.

⁵ აღნიშნული მუხლი მოიცავს აღმაშენებლის ქუჩის ტერიტორიის განვითარების შესაძლებლობების შესწავლას და დასასვენებელი სკვერების განვითარების კონცეფციის შექმნას.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისად,⁶ 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.⁷

აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც უნდა დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშფაქტურებით, ხელფასის ჩარიცხვის დოკუმენტებით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ. თბილისის განვითარების ფონდი ვალდებულია უზრუნველყოს ისეთი კონტროლის სისტემის შექმნა, რომელიც გამორიცხავს გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

მოქმედი კანონმდებლობით,⁸ ორგანიზაციებში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვას ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელი, რამაც უნდა უზრუნველყოს სახსრების კანონიერი, ეფექტიანი, გამჭვირვალე, პროდუქტიული და ეკონომიური გამოყენება.

ფაქტობრივი გარემოება: ფონდი სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვის დროს უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც დაითვლება ფაქტობრივი დანახარჯები და შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება. არსებული კონტროლის სისტემა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ ა(ა)იპ-მა მიიღოს დასაბუთებული რწმუნება მიმწოდებლის მხრიდან გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მოცულობის შესახებ.

თბილისის განვითარების ფონდი გამარტივებული წესით შესყიდული სამუშაოების ღირებულების (იხ. დანართი №1) ანაზღაურებას გასცემს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. დასკვნაში აღწერილია, რა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაითვალა ექსპერტმა მიმწოდებლის დანახარჯები.

სამუშაოების ღირებულების დადასტურება ძირითადად ორი საექსპერტო კომპანიის: შპს „მშენ-ექსპერტის“ და შპს „გოუ თუ ექსპერტის“ მიერ არის შესრულებული.⁹ აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა გაცემული ექსპერტიზის

⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

⁷ 2019 წლის 27 თებერვლიდან რეგულაცია ვრცელდება გამარტივებული წესით შესყიდულ ისეთ სამუშაოებზე, რომელთა ღირებულებაც აღემატება 40 ათას ლარს.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ვ“.

⁹ ჯამურად, ფაქტობრივად ანაზღაურებული თანხების 74%-ის ექსპერტიზა ამ ორ კომპანიას აქვს ჩატარებული.

დასკვნები, რის შედეგად აღმოჩნდა, რომ მიმწოდებლებისთვის ფაქტობრივი დანახარჯების ნაწილი დადასტურებულია სათანადო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე, კერძოდ:

ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოზე სრულად არ არის შესწავლილი გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯის პირველადი დოკუმენტაცია. კომპანიებს ექსპერტებისთვის მიწოდებული აქვთ ცხრილი დასაქმებულის სახელის და ანაზღაურებული თანხის მითითებით. ექსპერტიზის დასკვნებში აღნიშნულია, რომ ხელფასის შესახებ კომპანიების მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე მიმწოდებლები არიან პასუხისმგებელი.

კომპანიების შედგენილი ცხრილები ვერ ჩაითვლება გაცემული შრომის ანაზღაურების საკმარის მტკიცებულებად, რადგან იგი არ არის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გაფორმებული რაიმე ტიპის დოკუმენტი, დაქირავებულსა და დაქირავებულს შორის. ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ოდენობის დადგენა უნდა განხორციელდეს ხელფასის გაცემის პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. მაგალითად, ანაზღაურების მიღების დამადასტურებელი,¹⁰ თანხის გადარიცხვის საბუთები ან სხვა კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული სამეურნეო ოპერაციის ჩატარების პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს სამუშაოების შემსრულებლის მხრიდან შრომის ანაზღაურებაზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ზუსტი ოდენობა.

მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების ცხრილების შესწავლის შედეგად ვლინდება თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკის შემცველი გარემოებები, მაგალითად:

2018 წლის 1 დეკემბერს თბილისის განვითარების ფონდმა ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინ-სი“-სთან საერთო ღირებულებით – 1,916.0 ათასი ლარი.¹¹ ამავე წლის 31 დეკემბერს შემსრულებელმა წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, ღირებულებით – 1,822.9 ათასი ლარი.

ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივი დანახარჯების გადათვალა შპს „მშენ ექსპერტმა“, რომელმაც 2019 წლის 21 მარტის დასკვნით, დაადასტურა 1,805.5 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება. ექსპერტიზის აქტს თან ერთვის შპს „ინ-სი“-ს წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი ცხრილები გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ, რომლის საფუძველზედაც ექსპერტმა გაიანგარიშა ხელფასის ხარჯი. მონაცემების მიხედვით, ობიექტზე დასაქმებული იყო 47 ადამიანი, აქედან, სამი – ზედამხედველი და 44 – მუშა-ხელოსანი.¹² შესრულებული სამუშაოების აქტის მიხედვით, მშენებლობა 31 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდში კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, ზოგიერთ მუშა-ხელოსანზე გადახდილი ხელფასის შესახებ,

¹⁰ რომელიც გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

¹¹ CMR180204706.

¹² დოკუმენტაციის მიხედვით სახელფასო უწყისები შედგენილია დეკემბერსა და იანვარში.

არაგონივრულად მაღალია და არსებითად აღემატება საბაზრო პირობებს. (იხ. დანართი №2)

ცხრილში წარმოდგენილი მუშა-ხელოსნები, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით არ ასრულებდნენ რაიმე ტიპის განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს. შესაბამისად, შპს „ინ-სი“-ს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში, გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ გაწერილი ხელფასები არაგონივრულად მაღალია. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გარემოებები სხვა ხელშეკრულებების ფარგლებშიც ვლინდება.

შპს „მშენ ექსპერტმა“ აღნიშნული ობიექტის ფაქტობრივი დანახარჯების შემოწმება განახორციელა მშენებელი კომპანიის დაკვეთით. ექსპერტის განმარტებით, მას არ გადაუმოწმებია ცხრილებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე. აქტში არსებული ჩანაწერით დასტურდება, რომ შრომის ანაზღაურების მონაცემების გაანგარიშებისას ის სრულად დაეყრდნო შემსრულებლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციას. მას არ მოუთხოვია უფრო მაღალი რწმუნების მქონე პირველადი დოკუმენტები, სადაც ხელფასის გაცემა დადასტურებული იქნებოდა როგორც მისი გამცემის, ასევე მიმღების მხრიდან.

ექსპერტიზის დასკვნებში, გარდა შრომის ანაზღაურებისა, მარტივი ცხრილების ფორმით არის წარმოდგენილი გამოყენებული მასალების ნაწილი, ცხრილში მითითებულია მასალის დასახელება და ღირებულება. შრომის ანაზღაურების მსგავსად, აღნიშნული ცხრილებიც ვერ ჩაითვლება მასალის შესყიდვისთვის საკმარის მტკიცებულებად. სათანადოდ არ არის წარმოდგენილი მასალების შესყიდვის ზედნადებები და ანგარიშფაქტურები.

საექსპერტო კომპანიების მხრიდან მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ცხრილებზე დაყრდნობა, როგორც შრომის ანაზღაურების, ასევე გამოყენებული მასალების ღირებულების ნაწილში, არ არის სამუშაოების ღირებულების გაანგარიშება, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

თბილისის განვითარების ფონდმა მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა საკმარის საფუძველად მიიჩნია სამშენებლო სამუშაოების ასანაზღაურებლად. ფონდის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ განუხილავთ საკითხი, რამდენად საკმარისი საფუძველი იყო მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად.

თბილისის განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს მიმწოდებლისთვის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკების გამოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდებოდა ექსპერტიზის აქტების საფუძველზე, ექსპერტიზის მიერ სათანადოდ არ არის შესწავლილი შემსრულებლების ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

თბილისის განვითარების ფონდმა სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვის პროცესში ზუსტად განსაზღვროს ის მეთოდოლოგია, რომლის

დასკვნა

რეკომენდაცია

მიხედვით უნდა დადგინდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, რაც არსებითად შეამცირებს ბიუჯეტიდან თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკებს. შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეისწავლონ საექსპერტო კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი და მათ მიმართ გაატარონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2.2 მიმწოდებლებზე გადახდილი საავანსო ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვროს წინასწარი ანგარიშსწორების პირობები.¹³ შემსყიდველი ორგანიზაცია ავანსირების მექანიზმს იყენებს საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად. მაშინ როდესაც კონკრეტული პროექტის განხორციელება მიმწოდებლის მხრიდან დიდი ფინანსური რესურსების ხარჯვას უკავშირდება, შემსყიდველი ორგანიზაცია მას სთავაზობს პროექტის ღირებულების ნაწილზე თანხების ავანსად გაცემას, რათა მიმწოდებელს არ შეექმნას ფინანსური რესურსების დეფიციტი და დროულად დასრულდეს სამუშაოები.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში განხორციელებული შესყიდვების პროცესში თბილისის განვითარების ფონდი იყენებს ავანსირების (წინასწარი გადახდის) მექანიზმს. სხვადასხვა ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე, წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულებების ღირებულების 50-90%-ის ფარგლებში მერყეობს. 2018-2019 წლებში ორგანიზაციას მიმწოდებლებისთვის ავანსის სახით გაცემული აქვს 66,592.7 ათასი ლარი,¹⁴ 2018 წელს გადახდილი 33,935.4 ათასი ლარის ავანსისგან წლის განმავლობაში ათვისებულია 20,942.0 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს – 32,657.3 ათასი ლარიდან, ათვისებულია 16,256.8 ათასი ლარი. ცხრილში ნაჩვენებია გამოყენებული საავანსო ანგარიშსწორება კომპანიების მიხედვით.

2018-2019 წლებში კომპანიების მიერ მიღებული ავანსი (ლარი)

2018	
მიმწოდებელი	მიღებული ავანსი
შპს „ინ-სი“	16,436,858.4
შპს „ანაგი“	16,361,827.9
შპს „იკორთა 2007“	771,979.7
2019	
შპს „ანაგი“	16,803,077.0
შპს „ინ-სი“	9,814,740.4
ამხანაგობა „დაგი-სი-ეს“	2,947,721.0
შპს „იკორთა 2007“	2,538,089.0

ორგანიზაციის ავანსირების მექანიზმის გამოყენებისას, ფინანსური რესურსების მართვის შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ მიმწოდებლებზე დიდი რაოდენობის ავანსი გაიცემა, რომლის სრულად ათვისებას ისინი ხშირად ერთ წელზე მეტ დროს ანდომებენ. შესაბამისად, კომპანიები ორგანიზაციის ფინანსურ რესურსს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყენებენ, კერძოდ:

¹³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 35, პუნქტები: 2, 8 და 10.

¹⁴ მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილია თანხის შესაბამისი საბანკო გარანტიები.

2018 წლის 26 თებერვალს თბილისის განვითარების ფონდმა გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის სარესტავრაციოდ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ანაგთან“, საერთო ღირებულებით – 15,208.2 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 30 ივნისი. ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში მიმწოდებელმა ავანსის სახით მიიღო 887.2 ათასი ლარი. იმავე წელს, 25 და 26 დეკემბერს შემსრულებელს დამატებით ავანსის სახით ჩაერიცხა 6,000.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციასთან სამუშაოების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. პირველი მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის 2019 წლის 5 ივნისს გაფორმდა. ჯამში, მიმწოდებელმა 2019 წელს 1,838.2 ათასი ლარის სამუშაოები შეასრულა. აქედან, 1,546.1 ათასი ლარი ათვისებული ავანსია, ხოლო დანარჩენი ნაწილი – 2019 წელს შემსრულებელს აუნაზღაურდა მიღება-ჩაბარებების აქტის საფუძველზე. შედეგად, შემსრულებელმა 2018 წელს ავანსის სახით მიიღო 6,887.2 ათასი ლარი, რომელსაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული აქვს 1,546.1 ათასი ლარი, მთლიანი თანხის 22%.

2019 წლის 17 ოქტომბერს თბილისის განვითარების ფონდმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ანაგთან“, საერთო ღირებულებით – 7,959.2 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს უნდა ჩაეტარებინა ფურცელადის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების რესტავრაცია-რეაბილიტაცია. სამუშაოების საბოლოო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 31 მარტი. შემსყიდველმა მიმწოდებელს 2019 წლის 31 ოქტომბერს 3,979.6 ათასი ლარი გადაურიცხა წინასწარი ანგარიშსწორების სახით. მხარეებს შორის გაფორმებულია ერთი მიღება-ჩაბარების აქტი, 2020 წლის 6 აგვისტოს, საერთო ღირებულებით – 1,585.3 ათასი ლარი. მიმწოდებელს მეტი შესრულება აუდიტის მიმდინარეობის პროცესში არ წარმოუდგენია. მიუხედავად ამისა, 2019 წლის 30 დეკემბერს მას დამატებით ავანსის სახით ჩაერიცხა 1,898.8 ათასი ლარი. შედეგად, თბილისის განვითარების ფონდმა მიმწოდებელს 2019 წელს ჯამში ავანსის სახით 5,878.4 ათასი ლარი გადაუხადა, მაშინ როდესაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მხოლოდ 1,585.3 ათასი ლარის სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდა.

2019 წლის 5 ნოემბერს თბილისის განვითარების ფონდმა საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის მიზნით ხელშეკრულება გააფორმა შპს „ანაგს“, საერთო ღირებულებით – 10,684.7 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 30 ივნისი. ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველმა მიმწოდებელს 2019 წლის 21 ოქტომბერს ავანსის სახით 5,342.3 ათასი ლარი გადაუხადა. ამავე წლის 30 დეკემბერს შპს-ს ისევ ჩაერიცხა ავანსი – 3,500.0 ათასი ლარის ოდენობით. 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით კი მიმწოდებელს მხოლოდ ერთი მიღება-ჩაბარების აქტი აქვს წარმოდგენილი 2020 წლის 15 ოქტომბერს, ღირებულებით – 591.2 ათასი ლარი.

დასახელებული ხელშეკრულებების ფარგლებში შპს „ანაგთან“ ავანსის სახით 2018 წელს გაცემული 6,887.2 ათასი ლარიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ათვისებული აქვს 1,546.1 ათასი ლარი. 2019 წელს მიმწოდებლისთვის გადარიცხულია 14,720.7 ათასი ლარი, ხოლო ერთი წლის განმავლობაში წარმოდგენილია მხოლოდ 2,176.5 ათასი ლარის შესრულება. შედეგად,

შემსრულებელი 2018-2019 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში 17,885.3 ათასი ლარის რესურსს, საშუალოდ, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყენებს.

2018 წლის 26 თებერვალს თბილისის განვითარების ფონდმა, გუდიაშვილის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით, შპს „ინ-სი“-სთან გააფორმა ხელშეკრულება საერთო ღირებულებით – 22,222.8 ათასი ლარი. პროექტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბერი. 2018 წელს მიმწოდებელმა სამუშაოების შესასრულებლად ავანსის სახით მიიღო 11,554.0 ათასი ლარი, 10 ნაწილად. ავანსის გაცემის პროცესის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წლის 13 აპრილს ფონდმა მიმწოდებელს წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადაურიცხა 728.4 ათასი ლარი, რომლის შესაბამისი შესრულება შპს-მ მხოლოდ მომდევნო წლის მარტში წარმოადგინა. 2018 წელს მიმწოდებელს 29 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, ოთხ ნაწილად – 1,956.3 ათასი ლარი გადაურიცხა, რომლის შესაბამისი შესრულება მხოლოდ 2019 წლის ივლისში განხორციელდა. ამავე ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ინ-სი“-მ 2019 წლის 15 თებერვალს 1,557.5 ათასი ლარი მიიღო, რომლის შესაბამისი შესრულება მხოლოდ 2020 წლის აპრილში წარმოადგინა.

თბილისის განვითარების ფონდის მენეჯმენტის განმარტებით, კომპანიები მითითებულ პერიოდში რეალურად მუშაობდნენ და სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებული ჰქონდათ, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტებს წარმოადგენდნენ მნიშვნელოვანი დაგვიანებით. აღნიშნული განმარტება აუდიტის ჯგუფისთვის ვერ ჩაითვლება საკმარის საფუძვლად, რადგან ფონდმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა დოკუმენტები, სადაც დასტურდება, რომ მიმწოდებელს სამუშაოები დასრულებული ჰქონდა.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება იმისა, რამდენად სარგებლობს თბილისის განვითარების ფონდი არსებული საუკეთესო პრაქტიკით მიმწოდებლებზე საავანსო თანხების გაცემის დროს. ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ შემსრულებელი კომპანიებისთვის საავანსო თანხების გაცემა ხორციელდება სამშენებლო პროექტების შეუსრულებლობის ან განსაზღვრულ ვადებში დაუსრულებლობის თავიდან აცილების მოტივით.

თბილისის განვითარების ფონდმა არსებული საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიმუშაოს წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელების წესი. მიმწოდებლებისთვის თანხების ავანსად გაცემა უნდა განხორციელდეს რეალური საჭიროებებიდან და ფონდის ინტერესების მაქსიმალურად დაცვის გათვალისწინებით. აღნიშნული გააუმჯობესებს ორგანიზაციის ფინანსური რესურსების მართვას.

დასკვნა

რეკომენდაცია

2.3 გამარტივებული წესით საქონლის შესყიდვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,¹⁵ გამარტივებული წესით საქონლის შესყიდვის დროს, აუცილებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ სათანადოდ დაასაბუთოს შესყიდვის გამარტივებულად განხორციელების ობიექტური საჭიროება. როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს დასაბუთებას გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების აუცილებლობაზე. მნიშვნელოვანია, რომ დასაბუთება სრულად მოიცავდეს ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელ ყველა ღონისძიებას. ამასთან ერთად, გამარტივებული წესით საქონლის შესყიდვამდე ორგანიზაცია ვალდებულია, ჩაატაროს ბაზრის კვლევა ღირებულების ადეკვატურობის დადგენის მიზნით.

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წელს ფონდმა 300 ერთეული ნაგვის ურნის შეძენის მიზნით გამარტივებული შესყიდვის გზით, გააფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით – 223.9 ათასი ევრო.¹⁶ ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველი უზრუნველყოფდა საქართველოში მოქმედი გადასახადების გადახდას, ხოლო მიმწოდებელი განახორციელებდა საქონლის თბილისამდე ტრანსპორტირებას. საბოლოოდ, ფონდმა ურნების ღირებულების სახით 802.1 ათასი ლარი გადაიხადა.¹⁷

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ ხელშეკრულების საფუძვლად გამოიყენა შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა,¹⁸ სადაც ურნების გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა დასაბუთებული არ არის. ნებართვა, რომელიც ფონდმა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისთვის გამოიყენა, გაცემულია 2018 წლის 30 ივლისს,¹⁹ ხოლო ურნების შესყიდვა მოხდა 2018 წლის 3 ოქტომბერს. შესაბამისად, ორგანიზაციას ურნების შეძენის მიზნით ტენდერის გამოსაცხადებლად საკმარისი დრო გააჩნდა.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ურნების შეძენის ვადების გათვალისწინებით, ფონდს ჰქონდა საკმარისი დრო, რათა შესყიდვა ტენდერის საშუალებით განეხორციელებინა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ორგანიზაციას გამარტივებული შესყიდვის წესის ნაცვლად, საქონელი ტენდერით შეესყიდა.

მოქმედი კანონმდებლობით, ფონდი ვალდებული იყო ურნების საბაზრო ფასების დადგენის მიზნით ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა. ორგანიზაციამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა ბაზრის მოკვლევის ამსახველი დოკუმენტაცია.

2018 წლის 14 დეკემბერს თბილისის განვითარების ფონდმა შპს „პროლაითისგან“ გამარტივებული შესყიდვის გზით შეიძინა ორბელიანის მოედანზე, ვიდუოსამეთვალყურეო ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 75.7 ათასი ლარი. შემსყიდველმა გამარტივებული შესყიდვის

¹⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

¹⁶ მიმწოდებელი – Studio Citta S.R.L., CMR180167830.

¹⁷ ურნების ღირებულებას – 679.9 ათას ლარს დაემატა 122.2 ათასი ლარი, ქვეყანაში მოქმედი გადასახადების სახით.

¹⁸ შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი დასაბუთება ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ეხებოდა.

¹⁹ SMP180001578.

დასკვნა

საფუძვლად შესყიდვების სააგენტოს იგივე ნებართვა გამოიყენა, რაც ურნების შეძენის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება თანხმობის გაცემიდან ოთხი თვის შემდეგ გაფორმდა. შესაბამისად, ორგანიზაციას ჰქონდა საკმარისი დრო ტენდერის გამოსაცხადებლად. გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე ფონდს ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, ბაზრის კვლევა არ ჩატარებია.

განვითარების ფონდმა ურნების და ვიდეოსამეთვალყურეო ქსელის მონტაჟის სამუშაოების შეძენა გამარტივებული შესყიდვის გზით განახორციელა, როდესაც შესაძლებელი იყო საქონლის ტენდერის საშუალებით შეძენა. ამასთანავე, ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, ფონდს არ განუხორციელებია ბაზრის კვლევა.

2.4 თბილისის განვითარების ფონდის ქონების მართვა

კრიტერიუმი: თანხების ეფექტიანად ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, ორგანიზაცია ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს ის მატერიალური და არამატერიალური სიკეთეები, რომელთა შესაძენად მან ფინანსური ხარჯი გასწია. ხარჯების ეფექტიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რამდენად უკავშირდება ორგანიზაციის მიერ მიღწეული შედეგები და მიზნები ფაქტობრივად განხორციელებულ ღონისძიებებს.

ფაქტობრივი გარემოება: თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გამოყენების საუკეთესო ვარიანტების შესწავლის მიზნით, ორგანიზაციამ 2016 წელს შეისყიდა საექსპერტო მომსახურება. შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიადან“ გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების მიზნით, შესყიდულია გუდიაშვილის მოედნის ტერიტორიაზე ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენების საუკეთესო ალტერნატივების კვლევა, მისი ეკონომიკურ აქტივობაში ჩაბმისა და დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით. კვლევაში გადახდილია 67.3 ათასი ლარი. ორგანიზაციამ აღნიშნული კვლევის შედეგები მოიწონა, თუმცა დამატებითი ღონისძიებები არ განუხორციელებია ქონების შემდგომი გამოყენების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლით ადრე, ფონდსა და შპს „გრანდ თორთონ ახვლედიანთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის ღირებულება 136.9 ათასი ლარი იყო, შეფასდა გუდიაშვილის მოედნის ტერიტორიაზე არსებული შენობების, ბეთლემის ქუჩის №15-სა და პუშკინის ქუჩის №5-7-ში მდებარე ქონებების გამოყენების საუკეთესო ვარიანტები. თბილისის განვითარების ფონდს აღნიშნული კვლევის შედეგებიც არ გამოუყენებია.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შემსრულებელი ორგანიზაციის განმარტებით, ჩატარებული კვლევები ხანდაზმულია და მასში ასახულ კონცეფციას და გაანგარიშებებს ორგანიზაცია მომავალ საქმიანობაში ვეღარ გამოიყენებს.

დასკვნა

თბილისის განვითარების ფონდმა შეისწავლა საკუთარი ქონების ნაწილის ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ არ გამოიყენა კვლევის შედეგები შემდგომ საქმიანობაში. შესაბამისად, კვლევებში გადახდილი თანხები არაეფექტიანი ხარჯია.

აუდიტორები

ხელმოწერა

მიხეილ ჩიქოვანი
მთავარი აუდიტორი



ილია ლომაური
აუდიტორი



ნინო ხაზალა
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1.

თბილისის განვითარების ფონდის მიერ 2018-2019 წლებში გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მიმწოდებლებზე ანაზღაურებული თანხები (ათასი ლარი)

წელი	ანაზღაურებული თანხა
2018	39,874.2
2019	42,870.9
ჯამი:	82,745.1

დანართი №2.

შპს „ინ-სი“-ს მიერ წარმოდგენილი მონაცემები ერთ თვეში გაწეული შრომის ანაზღაურების შესახებ (ლარი)

თანამდებობა	ანაზღაურება
მუშა-ხელოსანი	34,938.8
მუშა-ხელოსანი	24,316.3
მუშა-ხელოსანი	24,193.8
მუშა-ხელოსანი	23,017.8
ზედამხედველი	18,750.0
მუშა-ხელოსანი	17,162.5
მუშა-ხელოსანი	10,771.3
მუშა-ხელოსანი	10,412.5
მუშა-ხელოსანი	8,878.8

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE